სასარჩელო განცხადება არჩევნებთან დაკავშირებით

ხვალ, 15 სექტემბერს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია სასარჩელო განცხადებას შეიტანს თბილისის საქალაქო სასამართლოში. სასარჩელო განცხადება ეხება პარტიების (ბლოკების) საარჩევნო სიების რეგისტრაციის შესახებ ცესკოს 14 სექტემბრის განკარგულების ნაწილობრივ ბათილად ცნობას.

საია განკარგულების იმ ნაწილს მიიჩნევს არაკანონიერად, რომელიც ეხება პარტიულ სიაში ქ. თბილისის საკრებულოს წევრობის კანდიდატად იმ პირის შეყვანას, რომელიც არ არის დასახელებული მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად არც ერთ საარჩევნო

ოლქში.

ასოციაციის აზრით, ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნა საარჩევნო კოდექსის 126(8)-ე მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევით. ამ პუნქტის თანახმად: □□□□□□□□ სიაში შეყვანილ უნდა იქნენ ის კანდიდატები, რომლებიც წარდგენილ არიან მაჟორიტარულ არჩევნებში.”

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით თორნიკე გურული 893 28 13 27 ან 95 23 53 / 93 61 01